

კოლეჯი "არსი"

ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4, ტელ.: 571 778 226 // 0341 228 399,

ელ. ფოსტა: collegeatsi@yahoo.com

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების

2020 წლის

კ ა ტ ა ლ ო გ ი

კოლეჯი “არსის” ავტორიზებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:


1. „საფინანსო სერვისები“ – საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

2. საექთნო საქმე / საექთნო განათლება/ - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Level Vocational Qualification in Nursing

3. პრაქტიკოსი ექთანი – V საფეხური / მიღწევად რეჟიმში/

დამატების პროცედურისთვის წარდგენილი პროგრამა:

ფარმაცია / სააფთიაქო/ - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy



ს ა ზ ო გ ა ღ ო ე ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ჯ ი ” ა რ ს ი ”

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა: პრაქტიკოსი ექთანი - V საფეხური / მიღევად რეჟიმში/

I სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა: 09101-პ

III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

V. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები

- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო

VII. მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

VIII. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე კოლეჯმა „არსმა“ შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 4 %-ს.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით; ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ საჭიროებენ ქართული ენის კრედიტების აღიარებას;

ა) ქართულენოვანთათვის: მოცულობა: 122 კრედიტი; სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე /84 კვირა/

ბ) არაქართულენოვანთათვის: მოცულობა: 152 კრედიტი /სავარაუდო ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე/ 104 კვირა

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	2	კვებადადიეტა	2
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	12	საოპერაციო ბლოკისექთნისსაკმე	2
უცხოური ენა /ინგლისური/	5	პრაქტიკული პროექტი - პრაქტიკოსი ექთანი	6		
		ავადმყოფისმოვლა	6		
		გინეკოლოგიურიპაციენტისსაექთნომართვა	4		
		დერმატო-ვენეროლოგიურიპაციენტისსაექთნ	2		

		ომართვა			
		ენდოკრინოლოგიურიპაციენტისსაექთნომართვა	2		
		თავისადაკისრისპათოგიებითპაციენტისსაექთნომართვა	2		
		თერაპიულიპაციენტისსაექთნომართვა	6		
		ინფექციისკონტროლი საექთნოსაქმეში	4		
		ინფექციურიპაციენტისსაექთნომართვა	4		
		კრიტიკულმდგომარეობაშიმყოფიპაციენტისსაექთნომართვა	6		
		ნევროლოგიურიპაციენტისსაექთნომართვა	4		
		ონკოლოგიურიპაციენტისსაექთნომართვა	3		
		პაციენტისფიზიკურიშეფასება	8		
		პედიატრიულიპაციენტისსაექთნომართვა	5		
		პირველადიგადაუდებელიდახმარება	2		
		რეაბილიტაცია საექთნოსაქმეში	2		

		საექთნოპროცესისმართვა, ჯანსაღიცხოვრებისწესის ხელშეწყობა	4		
		საექთნოპროცედურებიდამანიპულა ციები	6		
		სამედიცინოტერმინოლოგიადადოკ უმენტაციასაექთნოსაქმეში	2		
		ფარმაკოლოგიისსაფუძვლებისაექთ ნოსაქმეში	5		
		ფსიქიატრიულიპაციენტისსაექთნომ ართვა	3		
		ქირურგიულიპაციენტისსაექთნომა ართვა	7		
სულ:	11	სულ:	107	სულ:	4

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულის წავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.


XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XIII პუნქტით გათვალისწინებული წესით.



ს ა ზ ო ბ ა ღ ო ე ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ჯ ი ” ა რ ს ი ”

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა: -საფინანსო სერვისები - Finance services

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა -საფინანსო სერვისები - Finance services
2. ჩარჩოდოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა- 04117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“, კოდი 0412, აღმწერი - „შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.“

4. მიზანი - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მოზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობას.

5. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის -ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

მოდულის - ქართული ენა A2 - სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით; ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ საჭიროებენ ქართული ენის კრედიტების აღიარებას;

„საფინანსო სერვისების“ ჩარჩო დოკუმენტისმოცულობაა 51კრედიტი. აქედან, ზოგადიმოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, ხოლო სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებისა - 35 კრედიტი. ჩარჩო დოკუმენტით პრაქტიკის საერთო ხვედრითი წილი შეადგენს 80 %-ს, ხოლო თეორიისა - 20 %-ს.

ა) ქართულენოვანთათვის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 51 კრედიტი; ხანგრძლივობა: 9 სასწავლო თვე / 34 კვირა/

ბ) არაქართულენოვანთათვის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 66 კრედიტი / ხანგრძლივობა: 11 სასწავლო თვე/ 44 კვირა/

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალურიკომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4	უცხოური ენა - ინგლისური	საბაზო განათლება	4
5	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
6	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	საბაზო განათლება	1
2	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	საბაზო განათლება	2
3	სერვისის პლუსი	საბაზო განათლება	1,5
4	სალაროს ოპერაციების განხორციელება	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	3,5
5	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	4
6	ანგარიშის გახსნა-დახურვა	საბაზო განათლება	4
7	სწრაფი ფულადი გზავნილები	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	1
8	უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4

	ოპერაციები		
9	სადეპოზიტო მომსახურება	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
10	საკრედიტო პროდუქტები	საბაზო განათლება	2
11	დისტანციური საბანკო მომსახურება	საბაზო განათლება	1.5
12	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი	საბაზო განათლება	3
13	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	საფინანსო სერვისების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდული	3,5

ქართული ენის მოდული არაქართულენოვანთათვის			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ქართული ენა- A2	საბაზო განათლება	15

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა- სწავლის შედეგები

პირს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

კოლეჯმა „არსმა“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს- ჯამურად 35 კრედიტი და ზოგად

მოდულებს, რომელთა ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16. / ასევე ქართული ენის მოდული არაქართულენოვანთათვის, რომლის მოცულობაა - 15 კრედიტი.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;



- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.



ს ა ზ ო ბ ა ღ ო ე ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ჯ ი

” ა რ ს ი ”

მოდულური

საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო საქმე

1. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა - 09109-3
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Level Vocational

Qualification in Nursing

3. მიზანი - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება, სწავლების პროცესში მისი სრული პროფესიული პრაქტიკით უზრუნველყოფა, რაც სტუდენტს მისცემს საფუძველს გამომოუშუაოს სრულყოფილი პროფესიული უნარები და წარმატებით დასაქმდეს პროფესიის და კვალიფიკაციის შესაბამისად.

4. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები საექთნო საქმეში - საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

2. სტრუქტურა და მოდულები

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე კოლეჯმა „არსმა“ შეიმუშავა საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 სამი წლის მონაკვეთით, სრული დატვირთვით, რაც გულისხმობს კვირაში არანაკლებ 35 საათიან სასწავლო/ კლინიკურ დატვირთვას); პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, ასევე კოლეჯი „არსი“ კლინიკის ბაზაზე განახორციელებს 2 პროფესიული/ დარგობრივი მოდულის - ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“ - პრაქტიკულ ნაწილებს;

საექთნო განათლება		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში	2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	2
3	უცხოური ენა - საექთნო საქმეში	5
	ჯამი	9
თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ჰისტოლოგია	2
2	ბიოქიმია	4
3	მიკრობიოლოგია	4
4	ანატომია-ფიზიოლოგია	10
5	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	4
	ჯამი	24

თეორიული სწავლება საექთნო საქმე		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
2	ფარმაკოლოგია	5
3	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2
4	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	2
5	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	3
6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
7	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	7
8	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	3
9	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	5
10	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	2
11	პედიატრია და მოზარდები	3
12	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	ჯამი	45

თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი

1	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1
2	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	3
3	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	2
	ჯამი	6

პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ავადმყოფის მოვლა	4
2	შინმოვლა	2
	ჯამი	6

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	11
2	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
3	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	11

4	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
5	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	10
6	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	5
7	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	12
8	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	4
9	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	6
10	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3
11	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	7
12	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	3
13	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
14	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	ჯამი	90

- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით; ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ საჭიროებენ ქართული ენის კრედიტების აღიარებას;

ა) ქართულენოვანთათვის: მოცულობა: **180 კრედიტი**; ხანგრძლივობა: **3 წელი - 30- თვე / 120 კვირა**.

ბ) არაქართულენოვანთათვის: მოცულობა :**210 კრედიტი** ; ხანგრძლივობა: **3,5 წელი _35_ სასწავლო თვე/ _140_ კვირა**

~8. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებებით. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე – ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებსა და პაციენტებს ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში.

კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესი მიმდინარეობს კოლეჯი „არსის“ პარტნიორ კლინიკებში- პრაქტიკის ობიექტზე საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პარტნიორი კლინიკის პროფესიონალი ექთნების ზედამხედველობის ქვეშ, კერძოდ კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში, რომელიც 90 კრედიტს მოიცავს- ჩართულია 1 პრაქტიკის ობიექტის 2 კვალიფიციური ექთანი, მათთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილებისა
უცხოური ენები (მინიმალური მოთხოვნა)	ინგლისური A1
კომპიუტერული უნარები	საოფისე პროგრამების კარგი ფლობა

პროფესიული საქმიანობის კომპეტენცია:

1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

- ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შინმოვლის მომსახურება

კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა


კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7. პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯ „არსსა“ და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით.

13. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე³¹








დამატების პროცედურისთვის წარდგენილი
საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა

2020-2021 ს/წლის მიღებისთვის



ს ა ზ ო ბ ა ღ ო ე ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ჯ ი
” ა რ ს ი ”

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა: ფარმაცია / სააფთიაქო/

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო)/ Pharmacy
2. ჩარჩო დოკუმენტის ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა - 509110-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
4. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;
5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები -ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.
7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები
 პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით, სულ 120 კრედიტის მოცულობით.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 3	3
2.	უცხოური ენა	5
3.	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
სულ		11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	3

2.	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
3.	სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	5
4.	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	5
5.	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	2
6.	პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება	4
7.	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	2
8.	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	3
9.	მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	3
10.	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	2
11.	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	2
12.	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	4
13.	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	6
14.	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	5
15.	ბიოქიმია	4
16.	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	4
17.	ფარმაკოლოგია	7
18.	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	8
19.	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	4

20.	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	4
21.	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	6
22.	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	5
23.	ბოტანიკა	4
24.	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	7
25.	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	4
26.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
სულ		109

- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით; ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ საჭიროებენ ქართული ენის კრედიტების აღიარებას;

ა) ქართულენოვანთათვის: მოცულობა: 120 კრედიტი; ხანგრძლივობა: 2 წელი - 20- თვე

ბ) არაქართულენოვანთათვის: მოცულობა :150 კრედიტი ; ხანგრძლივობა: 2,5 წელი _25_ სასწავლო თვე/

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება
7. მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
8. გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ

10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია

11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ

12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

9. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება - შპს „არსმა“ /საზოგადოებრივი კოლეჯი/ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 120 კრედიტს- პროფესიული და ზოგადი მოდულების ჯამური მოცულობით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

